საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/4451
14/11/2024

4451-01-2-202411141234

შპს „ადას“ (ს/ნ 405027830)

მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N4

ელ-ფოსტა: order@adashop.ge

ტელ: 032 2 24 40 30;

599 31 79 31;

577 55 36 76

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ესაჭიროება დამატებითი ინფორმაცია. შესაბამისად, გთხოვთ, „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქმის შესწავლის მიზნით, წერილის ჩაბარებიდან **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, თანდართულ დოკუმენტაციასთან (მტკიცებულებასთან) ერთად, შესაბამისი კვალიფიციური საექსპერტო დასკვნის ან სხვა მტკიცებულებების საფუძველზე,** მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. მომხმარებლის, გიორგი ხაჩიძის მიერ შეძენილი ნივთის (ლეპტოპის) ამჟამინდელი საბაზრო ღირებულების შესახებ;

2. რამდენად შემცირდება მომხმარებლის მიერ შეძენილი ნივთის (ლეპტოპის) საბაზრო ღირებულება მისი ორჯერ შეკეთების შემდეგ.

დამატებით გაცნობებთ რომ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 4^1 პუნქტის საფუძველზე, კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში მოვაჭრისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობაა 500 ლარი. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი